



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„პაშტკივებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

[Handwritten signature] კახაბერ კირტავა

24 05 2018 წელი

N 31/36

ევზ: NI

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა
და ეკონომიკის სამინისტროს (პროგრამული
კოდი (04 00, 09 00) 2017 წლის 31 დეკემბრით
დასტურებული საბიჯარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური
აუდიტის ანგარიში

სარჩევი

ტერმინთა განმარტება.....	3
ინფორმაცია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შესახებ	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	5
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	5
1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	5
1.2.1 ვალდებულებები	5
1.2.2 აქციები და სხვა კაპიტალი	6
1.2.3 გრანტები	7
1.2.4 წმინდა ღირებულება	7
2. სხვა საკითხთა აზიარება.....	8
2.1 ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრები	8
2.1 მოთხოვნები.....	9
2.1.3 გრანტები	9
2.2 აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი	9
2.3 შრომის ანაზღაურება	10
2.4 სახელმწიფო შესყიდვები	10
2.5 პროგრამული ბიუჯეტი	11
3. წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა- ნაკლოვანებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.....	13
4. სამინისტროს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	14
5. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე	14
6. დანართები - სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება	17

ტერმინთა განმარტება

აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - **სამინისტრო**;

აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი - **მინისტრი**;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სსიპ**;

სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა - **პალატა**;


სსიპ - ბათუმის ბულვარი - **ბულვარი**;

ა(ა)იპ - ბათუმის ბიზნესინკუბატორი - **ინკუბატორი**.

ინფორმაცია ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შესახებ

სამინისტროს ამოცანები და ფუნქციები: სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საფინანსო სისტემის მართვა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით ფლობის, მართვისა და განკარგვის უზრუნველყოფა; სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებით დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ასევე კომპეტენციის ფარგლებში ქონების პირდაპირი მიყიდვის/გადაცემის (კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის/გადაცემის) საკითხებთან დაკავშირებული ფუნქციების განხორციელება.

სამინისტროს და სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციების სტრუქტურა წარმოდგენილია სქემის სახით:



სქემა N1. სამინისტროს სტრუქტურა

2017 წელს სამინისტროს სისტემისათვის გამოყოფილი ასიგნებების (კოდი: 04.00; 09.00) მაჩვენებლები შემდეგია:

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი	სხვაობა	შესრულების %
04.00	აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	26 140 366	24 767 231	1 373 135	94,7%
	მომუშავეთა რიცხოვნობა	242	234		
2	ხარჯები	8 893 035	8 372 038	520 997	94,1%
2.1	შრომის ანაზღაურება	3 648 5561	3 397 283	251 273	93,1%
2.2	საქონელი და მომსახურება	4 765 367	4 531 090	234 277	95,1%
2.5	სუბსიდიები	425 857	402 903	22 954	94,6%
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	18 837	18 837	0	100%
2.8	სხვა ხარჯები	34 418	21 626	12 792	62,8%
3.1	არაფინანსური აქტივების ზრდა	17 277 858	16 375 722	902 136	94,8%
3.3	ვალდებულებების კლება	19 473	19 471	2	99,9%
09.00	საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	131 773 833	124 322 522	7 451 311	94,3%
2	ხარჯები	91 860 033	85 000 188	6 859 845	92,5%
3.2	ფინანსური აქტივების ზრდა	38 033 800	38 033 800	0	100%
3.3	ვალდებულებების კლება	1 880 000	1 288 534	591 466	68,5%
	სულ:	157 914 199	149 089 753	8 824 446	94,4%

ცხრილი N1. სამინისტროს 2017 წლის ასიგნება (ლარი)

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (კოდი: 04.00 და 09.00, შემდგომში - სამინისტრო) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშებს. ანგარიშგება მოიცავს: ანგარიშს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიშს არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიშს ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიშს წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიშს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ, ანგარიშს ფულადი გრანტების შესახებ, ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ, ანგარიშს არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ, ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე, ინფორმაციას ანგარიშებზე რიცხული დებიტორული დავალიანებების შესახებ, ინფორმაციას ანგარიშებზე რიცხული კრედიტორული დავალიანებების შესახებ.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.2.1 ვალდებულებები

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულების სახით ირიცხება 270,166 ლარი, რაც 76,577 ლარით უზუსტოდ (გაზრდილად) არის წარმოდგენილი. აღნიშნული გამოწვეულია ფინანსურ აღრიცხვასთან დაკავშირებული სუსტი შიდა

კონტროლის სისტემით, რომელიც ვერ უზრუნველყოფს დავალიანებების სწორ და დროულ აღრიცხვას. კერძოდ:

- სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „სამშენებლო - კომერციული კორპორაცია „ხიდის“ მიმართ არაფინანსური აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულების სახით ირიცხება 70,277 ლარი. დავალიანება წარმოქმნილია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების¹ ფარგლებში, რომლის მოთხოვნათა გათვალისწინებით სამინისტრო ახორციელებდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 3%-ის დაკავებას. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დაკავებული თანხის მიმწოდებელზე დაბრუნება შესაძლებელი იყო საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი წლის შემდეგ, ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამოვლენილი ყველა დეფექტისა და ხარვეზის აღმოფხვრის პირობებში.

სამინისტროს საბუღალტრო ჩანაწერების შესაბამისად, შპს „სამშენებლო - კომერციული კორპორაცია „ხიდის“, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შესრულებული აქვს 2,518,508 ლარის, ხოლო შესასრულებელი დარჩა - 735,490 ლარის ღირებულების სამუშაოები, რომელთა შესრულებასა და ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიშით გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე უარი განაცხადა. აღნიშნულის გამო, ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა. შესაბამისად, სამინისტროს უნდა ჩამოეწერა შპს „სამშენებლო - კომერციული კორპორაცია „ხიდის“ მიმართ ვალდებულების სახით რიცხული 70,277 ლარი, რაც არ განუხორციელებია;

- სსიპ - ბათუმის ბულვარის ფინანსურ ანგარიშგებაში, შპს „ჯორჯიან სტოუნის“ მიმართ ირიცხება 12,945 ლარის კრედიტორული დავალიანება. შესრულებული სამუშაოების მიღებისა და ღირებულების ანაზღაურების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად ირკვევა, რომ შპს „ჯორჯიან სტოუნის“ მიმართ რიცხული დავალიანება შესამცირებელია 6,300 ლარით.

ვალდებულების არასწორად (გაზრდილად) წარმოდგენა იწვევს სამინისტროზე გასანაწილებელი საბიუჯეტო რესურსის შესახებ არადაეკვატური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. მოცემული გარემოება წარმოშობს მხარჯავი დაწესებულების მხრიდან დაგეგმვის ეტაპზე საბიუჯეტო ასიგნების დაუსაბუთებელი მოთხოვნისა და მხარეთა გარიგების შედეგად საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად განკარგვის რისკებს.

1.2.2 აქციები და სხვა კაპიტალი

სამინისტროს 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, აქციებისა და სხვა კაპიტალის ნაშთი 136,389,045 ლარს შეადგენს, რაც 4,872,309 ლარით, უზუსტოდ (გაზრდილად) არის წარმოდგენილი. აღნიშნული გამოწვეულია ფინანსურ აღრიცხვასთან დაკავშირებული სუსტი შიდა კონტროლის სისტემით, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ფინანსური აღრიცხვის დოკუმენტების დანიშნულებისამებრ დროულ მიწოდებას. კერძოდ:

¹ ხელშეკრულება N124, 21.05.2015. ღირებულება - 3291891 ლარი.

• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უსასყიდლოდ, არსებობის ვადით, მართვის უფლებით გადაეცა², აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ 100%-იანი წილი - 3,449,997 ლარის საწესდებო კაპიტალით; შპს „ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის“ 100%-იანი წილი - 1,210,048 ლარის საწესდებო კაპიტალით; შპს „N1 პოლიკლინიკის“ 100%-იანი წილი - 188,364 ლარის საწესდებო კაპიტალით და შპს „სამედიცინო განათლების“ - 100%-იანი წილი - 23,900 ლარის საწესდებო კაპიტალით. აღნიშნული ინფორმაციის არარსებობის გამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საფინანსო სამსახურის მიერ, ფინანსურ აღრიცხვაში ცვლილებები არ არის განხორციელებული.

აქციებისა და სხვა კაპიტალის სწორად ასახვა მნიშვნელოვანია ფინანსური პოლიტიკისა და ანალიზისათვის, ვინაიდან იგი იძლევა ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედ საწარმოებში დაბანდებულ და სამინისტროს მართვაში არსებული ფინანსური აქტივების შესახებ, რაც, თავის მხრივ, აღნიშნული აქტივების შემდგომ გამოყენებასთან დაკავშირებით ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების საფუძველია.

1.2.3 გრანტები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული გრანტის სახით მიღებული 1,425 კვ.მ შენობა-ნაგებობა, რაც არასწორი ფინანსური აღრიცხვის შედეგია. კერძოდ:

• სსიპ - ბათუმის ბულვარს, 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, გრანტების სახით მიღებული აქვს 81,086,580 ლარის ძირითადი აქტივები. მათ შორის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემულია 229,116 კვ.მ - 81,086,580 ლარის ნორმატიული ღირებულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, თუმცა ამავე ხელშეკრულებებით გადმოცემული 1,425 კვ.მ შენობა-ნაგებობა არ არის შეფასებული და აღრიცხული ბულვარის ბალანსზე.

მნიშვნელოვანია, სრულად აღირიცხოს საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში თუ სარგებლობაში არსებული აქტივები, რაც განაპირობებს მმართველობის შესაბამისი ორგანოების მხრიდან მათ გამოყენებასთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილებების ეფექტიანობას. ამასთანავე, აღრიცხვაში მათი გამოტოვება და აქედან გამომდინარე, კონტროლის არარსებობა წარმოშობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების უკანონო გამოყენების ან გასხვისების შესაძლებლობას.

1.2.4 წმინდა ღირებულება

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს აქტივების წმინდა ღირებულებამ 426,312,574 ლარი

² აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 26 ივლისის N136 ბრძანება.

შეადგინა, რაც 965,617 ლარით, უზუსტოდ (შემცირებულად) არის წარმოდგენილი, რაც აღრიცხვაში დაშვებული შეცდომით არის გამოწვეული. კერძოდ:

- სსიპ - ბათუმის ბულვარის 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N4-ის შესაბამისად, „გრანტების“ მუხლით მიღებული ფაქტობრივი შემოსავალი 965,617 ლარს შეადგენს, რაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან უსასყიდლოდ მიღებული მიწის ნორმატიულ ღირებულებას წარმოადგენს და შესაბამისად, უნდა აღრიცხულიყო ბულვარის ფინანსური ანგარიშგების დანართ N3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“³. მოცემული უზუსტობის შედეგად ბულვარის წმინდა ღირებულება შემცირებულია, ხოლო საკუთარი კაპიტალი გაზრდილია 965,617 ლარით.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობები დეტალურადაა აღწერილი ანგარიშის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“ - ნაწილში. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ სამინისტროსაგან დამოუკიდებელი აუდიტორები. ამასთანავე, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

2. სხვა საკითხთა აზიზი

2.1 ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრები

- სსიპ - აჭარის ა/რ სავაჭრო - სამრეწველო პალატის, 2017 წლის ბალანსის დანართ ფორმა N4-ში, არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული ფაქტობრივი შემოსავალი 45,165 ლარს შეადგენს, რაც 1,716 ლარით მეტია საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებზე. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წარმოებს ნაღდი ანგარიშსწორების წესით. სალაროში ნაღდი ფულის მოძრაობის აღრიცხვისათვის არ გამოიყენება სალაროს წიგნი, არ არის განსაზღვრული ნაღდი ფულის ნაშთის მოცულობა და არ არის გაფორმებული ხელშეკრულება მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ⁴.

შესაბამისად, მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დაუცველად, ნაღდი ფულის მიღება-ხარჯვა წარმოშობს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრების არამიზნობრივად გამოყენების ან/და მითვისების შესაძლებლობას.

³ „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

⁴ „საბიუჯეტო ორგანიზაციების სალაროს ორგანიზებისა და ოპერაციების წარმოების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 4 თებერვლის N49 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტები და მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

2.1 მოთხოვნები

• სსიპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების შესაბამისად, ამავე დაწესებულების თავმჯდომარის მოადგილის სახელზე დებიტორული დავალიანების სახით ირიცხება 14,424 ლარი. აღნიშნული განაპირობა 2010 წელს სარემონტო სამუშაოებისათვის სალაროდან გაცემული თანხის დანიშნულებით გამოყენების სრულყოფილი დოკუმენტების წარმოდგენლობამ.

შესაბამისად, 2010 წელს ანგარიშქვეშ გაცემული თანხა, აუდიტის პერიოდისათვის ისევ დავალიანების სახით ირიცხება, თუმცა მისი დაფარვისათვის სავაჭრო-სამრეწველო პალატას რაიმე სახის ღონისძიებები არ გაუტარებია, რაც წარმოშობს სავაჭრო-სამრეწველო პალატის კუთვნილი თანხების მითვისების მიზნით, დავალიანების ხანდაზმულობის მოტივით ჩამოწერის რისკებს.

2.1.3 გრანტები

• გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობასთან (UNDP) პროექტის - „მდგრადი სოფლის მეურნეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“ განხორციელებასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ა(ა)იპ ბათუმის ბიზნეს ინკუბატორს ფულადი გრანტის სახით მიღებული აქვს 56,700 ლარი. გრანტის დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით მათ მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში აღნიშნულია, რომ 55,500 ლარი გამოყენებულია პროექტის ფარგლებში, ფერმერებისა და ფერმერთა კოოპერატივების კონსულტირების მიზნით, დაქირავებული სპეციალისტების მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისათვის, თუმცა აუდიტის პერიოდისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული საკონსულტაციო მომსახურების, შინაარსის, რაოდენობისა და პერიოდულობის შესახებ.

შესაბამისად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება გრანტის სახით მიღებული 55,500 ლარის დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა გრანტის სახით მიღებული სახსრების არამიზნობრივ გამოყენებასთან იყოს დაკავშირებული.

2.2 აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი

აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის საკრედიტო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2010 წელს, თუმცა აუდიტის პერიოდისთვის პროექტის განხორციელება არ დაწყებულა და არც სესხის თანხაა ათვისებული. შედეგად, ყოველწლიურად სესხის ათვისებელ ნაწილზე (2,7 მლნ. ევრო) ხორციელდება⁵ ვალდებულების გადასახადის გადახდა, ათვისებელი თანხის 0,5%-ით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული სესხის ფარგლებში, ჯამურად გაწეულია 163,522 ევროს ხარჯი⁶, მაშინ როდესაც, პროექტის განსახორციელებლად

⁵ 2010 წლის 18 თებერვალს ხელი მოეწერა აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის სასესხო ხელშეკრულებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (ბანკი) და საქართველოს შორის, რომლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სესხის მიმღები ათვისებელ ნაწილზე იხდის ვალდებულების გადასახადს წლიურად 0,5%-ის ოდენობით.

⁶ მოცემული თანხა აერთიანებს სესხის ადმინისტრირების გადასახადს - 30 000 ევროს, პროცენტის ხარჯს - 2 982 ევროს, ვალდებულების გადასახადს - 119290 ევროს და სესხის ძირითადი თანხის დაფარვას - 11250 ევროს.

საკრედიტო რესურსიდან თანხები არ მიუმართავთ. საერთო დანიშნულების რესპუბლიკურ გადასახდელებში ვალდებულების კლების საბიუჯეტო გეგმის შესრულების მაჩვენებელი დაბალია. კერძოდ, სესხის დასაბრუნებლად 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 592,809 ლარის ნაცვლად, გაიხარჯა 7038 ლარი, რაც გეგმის 1,2% -ს შეადგენს.

აღნიშნული განპირობებულია პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვასთან დაკავშირებული კონტროლის მექანიზმების არარსებობით და სხვადასხვა ეტაპზე ხელისშემშლელი⁷ გარემოებებით, რომელთა გადასაჭრელად ქმედითი და დროული ღონისძიებები არ არის გატარებული. შედეგად ვალდებულების გადასახადის სახით საბიუჯეტო სახსრები არაეფექტიანად დაიხარჯა.

2.3 შრომის ანაზღაურება

2017 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დაზუსტებული ასიგნებების ოდენობამ 1,933,903 ლარი შეადგინა. 2017 წელს, ბიუჯეტიდან შტატით გათვალისწინებულ საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურებაზე მიმართულ იქნა 1,933,899 ლარი, რაც დაზუსტებული ასიგნების 99,9%-ია.

კლასიფიკაციის მიხედვით, დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის, დანამატს განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის. დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

2.4 სახელმწიფო შესყიდვები

2017 წლის დაფინანსების ფარგლებში შესყიდვების განხორციელების მიზნით, სამინისტროს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ჩატარებული ტენდერების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

დასახელება	სულ	ელ. ტენდერი	გამარტ. შესყ.	მ.შ. ხვედრ. წილი გამარტ. შესყიდვებთან	
				გადაუღებელი	ექსკლუზიური
რაოდენობა	273	42	231	4	14
თანხა	42545715	41802783	742932	57603	288288
თანხა (%)	100%	98,3%	1,7%	7,8%	38,8%

ცხრილი N4. ინფორმაცია გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ, შესყიდვის საშუალების მიხედვით (ლარი).

2017 წელს გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმებულია 231 ხელშეკრულება, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 20 ერთეულით მეტია, თუმცა გამარტივებული შესყიდვების წილი, შესყიდვების მთლიან მოცულობაში 9,5 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული.

⁷ ნაგავსაყრელის მშენებლობის ადგილის ცვლილება, გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების თაღლითური გზით მითვისება და ა.შ.

- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, შესყიდვების დაგეგმვისას, ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბაზრის კვლევას და შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრას. აუდიტის პერიოდში სამინისტროს შესყიდვების განყოფილების მიერ ბაზრის კვლევა, შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული 94 შესყიდვიდან, არ არის განხორციელებული 54 შემთხვევაში. შედეგად, შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები, რაც მისაღები ხელშეკრულების ოპტიმალური პირობების განსაზღვრისათვის ბაზრის მოკვლევაში გამოიხატება.

2.5 პროგრამული ბიუჯეტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების 2017 წლის პროგრამების საბიუჯეტო ასიგნება 21,588,813 ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდში პროგრამების საბიუჯეტო გეგმა შესრულებულია 95,3 %-ით. კერძოდ,

N	დასახელება	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	სხვაობა	შესრულების პროცენტი
1	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ქონების მართვა	431403	401296	30107	93,0%
2	რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი	313900	244025	69875	77,7%
3	ეკონომიკური ობსერვატორია	26886	24149	2737	89,6%
4	შავი ზღვის სანაპირო ზოლში არსებული საკურორტო-სარეკრეაციო ადგილების ურბანული განვითარება	165300	164028	1272	99,2%
5	აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტების განვითარება	100000	99710	290	99,7%
6	ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება	104000	103059	941	99,1%
7	მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა	202097	185685	16412	91,9%
8	აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება	7241501	7241501	0	100%
9	საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	5506864	5180365	326499	94,1%
10	ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა	6534857	6249462	285395	95,6%
11	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	223760	217218	6542	97,1%
12	დაწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა	75500	72678	2822	96,3%
13	საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა	275020	255331	19689	92,8%
14	ბიზნესინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა	150658	149241	1417	99,0%
15	ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება და მიწოდება	247067	0	247067	0%
ჯამი:		21 598 813	20 587 748	1011065	95,3%

ცხრილი N5. სამინისტროს 2017 წლის პროგრამების შესახებ (ლარი).

სამინისტროს 2017 წლის პროგრამული ასიგნებების შესრულების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, რიგი პროგრამების შესრულების დაბალი მაჩვენებლები ძირითადად განპირობებულია შემდეგით:

- პროგრამის - „რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი“, საბიუჯეტო გეგმა შესრულებულია 77,7 %-ით. დაბალი შესრულება პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტენდერების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ⁸ და სარეკლამო მომსახურების⁹ მიმწოდებელი კომპანიის¹⁰ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დაგვიანებით შესრულებამ გამოიწვია. აღნიშნულის გამო, მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდა 2018 წელს.
- პროგრამის - „ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება და მიწოდება“, ფარგლებში 2017 წელს საკასო ხარჯი არ არის გაწეული. პროგრამის განხორციელება, სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს ევალებოდა, თუმცა სამსახურის დაკომპლექტების მიზნით გამოცხადებული კონკურსი უშედეგოდ დასრულდა და შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელი ორგანო ვერ შეიქმნა.

რიგ შემთხვევაში, ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრები მასშტაბურად გადანაწილება სხვადასხვა პროგრამასა და ქვეპროგრამაზე, რაც პროგრამის არასათანადო დაგეგმვაზე მიუთითებს, ამასთანავე არ ხდება აღნიშნული გადანაწილების შედეგად პროგრამაში სათანადო ცვლილებების შეტანა და პარამეტრების დაზუსტება. მაგალითად:

- პროგრამის - „ეკონომიკური ობსერვატორია“, „საქონლისა და მომსახურების“ მუხლიდან 7,5 ათასი ლარი, პროგრამის - „შავი ზღვის სანაპირო ზოლში არსებული საკურორტო სარეკრეაციო ადგილების ურბანული განვითარების“ - „საქონლისა და მომსახურების“ მუხლიდან - 8,7 ათასი ლარი, მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის - „სუბსიდიის“ მუხლიდან - 81,8 ათასი ლარი, სულ - 98,0 ათასი ლარი გადატანილია პროგრამის - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვის“ „საქონელი და მომსახურების“ მუხლში. აღნიშნული გადანაწილების შედეგად, ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამების ასიგნებები შეიცვალა, თუმცა ინფორმაცია პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების მიხედვით მათი დაზუსტების შესახებ, აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი.

რიგ შემთხვევებში არ ხდება მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება, წინასწარ განსაზღვრული შედეგების შეფასების ინდიკატორებთან მიმართებაში. მაგალითად:

- სამინისტროს 2017 წლის ქვეპროგრამის - „რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი“, შესაბამისად, შუალედური შედეგების ინდიკატორად განსაზღვრულია „წლის განმავლობაში მოზიდული ინვესტიციების მოცულობის 10%-იანი ზრდა“. პროგრამის შესრულების შესახებ წარმოდგენილ ანგარიშში აღნიშნულია პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია პროგრამის

⁸ 34592 ლარი.

⁹ აჭარის რეგიონის შესახებ სტატიის გამოქვეყნება ჟურნალ „ფორბსში“.

¹⁰ შპს „ლუქ პროდაქშენი“, ხელშეკრულების ღირებულება - 35282 ლარი.

განხორციელების შედეგად ინვესტიციების მოცულობის ზრდის შესახებ. შესაბამისად, არ განხორციელებულა პროგრამის ეფექტიანობის შეფასება.

მნიშვნელოვანია, მხარჯავი დაწესებულებების მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან ერთად, საბიუჯეტო სახსრების ათვისების შედეგად მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგების სრულყოფა. აღნიშნული, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ანგარიშვალდებულების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, რესურსების ეფექტიანი გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების საფუძველია.

3. წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა - ნაკლოვანებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორების მიზნით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის ანალიზით დადგენილია:

- | სამინისტროს ბალანსზე აღრიცხულ იქნა ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ საწარმოებში ავტონომიური რესპუბლიკის წილები და აქციები;
- | კორექტირებულია სსიპ - ბათუმის ბულვარის 2016 წლის ბალანსი და მოგების გადასახადის დეკლარაცია;
- | სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საწარმოთა წმინდა მოგებიდან 2,252,800 ლარი განაწილებულია დივიდენდის სახით და ჩარიცხულია ბიუჯეტის შესაბამის შემოსავლებში;
- | სამინისტროს მიერ განხორციელდა ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ყველა საწარმოს (ფუნქციონირებადი თუ არაფუნქციონირებადი) ინფორმაციის განახლება. ფუნქციონირებადი საწარმოების ნაწილში შეიცვალა წესდებები, რითაც გამკაცრდა ნაღდი ფულის გამოტანა. ასევე დაინერგა გადარიცხვის ორდონიანი ავტორიზაცია. ამასთანავე, ნაკლებეფექტიანია საწარმოთა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების დაფარვისა და იდენტიფიცირებისათვის გატარებული ღონისძიებები. კერძოდ, 2016 წელთან შედარებით დებიტორული დავალიანებები შემცირებულია 1,343,902 ლარით და 19,085,798 ლარს შეადგენს, ხოლო კრედიტორული დავალიანება შემცირებულია 4,269,672 ლარით და 8,709,628 ლარს შეადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ დებიტორული დავალიანებიდან - 879,231 ლარი, ხოლო კრედიტორული დავალიანებიდან - 774,211 ლარი, არაიდენტიფიცირებული დავალიანებებია, რომლებიც წლების განმავლობაში ირიცხება საწარმოთა ბალანსზე;
- | სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სამინისტროსა და სსიპ - ბათუმის ბულვარში შეიცვალა შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის ეფექტიანი მონიტორინგის უზრუნველსაყოფად, ჩამოყალიბდა ახალი შიდა კონტროლის სისტემა, თუმცა როგორც წინამდებარე ანგარიშშია აღწერილი, კვლავ შეინიშნება ნაკლოვანებები ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით;
- | 2017 წელს კვლავ ვერ მოხერხდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან აჭარის მყარი ნარჩენების მართვის პროექტის განხორციელებისათვის მიღებული სესხის სრული ათვისება, რის გამოც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, 2017 წლის 31

დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულების გადასახადის სახით, გახარჯულია საბიუჯეტო სახსრები არაეფექტიანად - 163,522 ევროს ოდენობით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს წინა წლებისაგან განსხვავებით, დაწყებულია და მიმდინარეობს პროექტის განხორციელების სხვადასხვა აქტივობები, კერძოდ:

გამოსყიდულ იქნა ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთები, შეირჩა მშენებლობის ზედამხედველი კომპანია¹¹, განხორციელდა ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობის ტენდერის შეფასების პირველი ეტაპი და შეფასების ანგარიში გადაეგზავნა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს. სათანადო პროცედურების შემდეგ გამოვლინდება გამარჯვებული კომპანია და სავარაუდოდ, მშენებლობა დასრულდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვის ვადაში.

4. სამინისტროს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე, „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად. პასუხისმგებელია ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

5. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ

¹¹ შპს „ფორმა-2-ის“ ფილიალი საქართველოში“.

ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.

შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სამინისტროს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ არსებობს თუ არა რაიმე სახის მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, გამოვთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, სამინისტრო შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.

▪ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროს სისტემაში შემავალი და მის მიერ კონტროლირებული ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებულ (ნაერთ) ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობა ვრცელდება კონსოლიდირებული (ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე.

ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა


გოჩა შარაბიძე
წამყვანი აუდიტორი



ზვიად ვარშალომიძე
აუდიტორი



ურა პაპუკაშვილი
აუდიტორ-ასისტენტი



თარიღი 14.05.2018

6. დანართები - სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების ფორმები

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I. ფინანსურის (კვარტლის) ბოლოსებივლენ				
010	ნაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	1110	1107	20
020	ნაღდი ფული საღაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211	819	
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212		
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220	1229271	1066799
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230	305785	264422
070	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240		
080	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
090	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
100	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
110	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
120	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
130	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
140	მოკლევადიანი სესხები	1320		
150	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
170	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
180	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
190	დეპოზიტებსა და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
